

ზოგადი პრაქტიკის ექთნის გადამზადების სასწავლო პროგრამა

მომზადდა საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრებისა და საოჯახო
მედიცინის პროფესიონალთა კავშირის მიერ

მესამე გადახედვა

მაისი 2007

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების პროგრამის დახასიათება	3
I.1. ზოგადი ნაწილი	3
I.2. პროგრამის მიზანი და ამოცანები	4
II. კერძო ნაწილი	6
მოდული 1: პირველადი ჯანდაცვის არსი	6
მოდული 2: საექთნო საქმე ზოგად პრაქტიკაში-თეორიული საფუძვლები7
მოდული 3: პაციენტთან კომუნიკაცია და კონსულტაციის მოდელები9
მოდული 4: ჯანმრთელობის დამკვიდრება და დაავადებათა პრევენცია	10
მოდული 5: კლინიკური ჩვევები11
მოდული 6. გერიატრიული პრობლემების მართვა	14
მოდული 7. გადაუდებებლი გავრცელებული პრობლემების მართვა..	16
მოდული 8: ტერმინალური პაციენტის მოვლა18
მოდული 9: პედიატრიული პრობლემები	18
მოდული 10: ქალთა ჯანმრთელობა	20
მოდული 11: სქესობრივი ჯანმრთელობა21
მოდული 12: კვება22
მოდული 13: კლინიკური აუდიტი23
მოდული 14: მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა და პრაქტიკა24
მოდული 15: მენეჯმენტის საფუძვლები25
III. მრავალდისციპლინარული სწავლება	27
IV. ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების სასწავლო გეგმა	27
V. ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების სასწავლო პროგრამის შემაჯამებელი შეფასების ჩატარების წესები	29

I. ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების პროგრამის დახასიათება

I.1. ზოგადი ნაწილი

1. პროგრამის ჩატარების ზოგადი წესები:

ზოგადი პრაქტიკის ექთნის გადამზადების სასწავლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს კურსის მონაწილეების მიერ, ზოგადი პრაქტიკის ექთნისათვის დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, ზოგად პრაქტიკაში საექთნო საქმიანობის თეორიული საფუძვლებისა და ტექნიკის ათვისება, რაც მათ ზოგადი პრაქტიკის ექთნის თანამდებობაზე დამოუკიდებელი საქმიანობის საშუალებას მისცემს;

ზოგადი პრაქტიკის ექთნის მოსამზადებელი სასწავლო პროგრამა გაგრძელდება 6 თვე, მ.შ. ერთი თვე განკუთვნილია მსმენელის საკუთარ თავზე მუშაობისთვის. პროგრამა მოიცავს 15 მოდულს. პროგრამის საერთო ხანგრძლივობა 816 საათია;

ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების პროგრამის მიმდინარეობისას, გარკვეული დრო დაეთმობა ოჯახის ექიმთა გადამზადების პროგრამის მონაწილეებთან ერთად მრავალდისციპლინარულ სწავლებას. ამისათვის განკუთვნილია 96 საათი, რაც ნაწილდება პროგრამის მიმდინარეობის მთელ პერიოდზე.

ზოგადი პრაქტიკის ექთნების მოსამზადებელი პროგრამა იგეგმება და მიმდინარეობს პრაქტიკაში სწავლებისა და მრავალდისციპლინარული სწავლების პრინციპების საფუძველზე;

ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების პროგრამის განხორციელებაში, მრავალდისციპლინარული სწავლების პრინციპების საფუძველზე, შესაძლოა, მონაწილეობა მიიღონ ოჯახის ექიმის მასწავლებლებმა და ზოგადი პრაქტიკის მენეჯერების მასწავლებლებმა.

ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების პროგრამის მსვლელობისას, რეგულარულად ტარდება მონაწილეთა მიმდინარე, ხოლო კურსის დასასრულს შემაჯამებელი შეფასება;

ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების პროგრამის გავლისა და შემაჯამებელი შეფასების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მონაწილე იღებს კურსის დასრულების დამადასტურებელ მოწმობას;

თუ კურსის მონაწილე პირველი მცდელობისას ვერ მიაღწევს ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების პროგრამის შემაჯამებელი შეფასების მოთხოვნათა მიხედვით დადგენილ სტანდარტს, მას დამატებით მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ ორი თვისა, რის შემდეგაც ინიშნება განმეორებითი შეფასება. წარუმატებლობის შემთხვევაში მსმენელს მესამე მცდელობის უფლება არა აქვს და ამდენად, იგი ვერ იღებს პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

I.2. პროგრამის მიზანი და ამოცანები

- I. ზოგადი პრაქტიკის ექთანმა წინამდებარე პროგრამის გავლის საფუძველზე უნდა შეიძინოს გარკვეული ცოდნა და უნარ-ჩვევები, რათა დამოუკიდებლად გაუწიოს პრევენციული, სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო საექთნო სამედიცინო სამსახური ყველა ასაკისა და ორივე სქესის მოსახლეობას;
- 1.1. ზოგადი პრაქტიკის ექთანი კარგად უნდა აცნობიერებდეს *საოჯახო მედიცინის ფილოსოფიასა და ძირითად პრინციპებს*. იგი მზად უნდა იყოს, შესთავაზოს მომხმარებელს ყოვლისმომცველი, უწყვეტი, მაკოორდინირებელი და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი სამედიცინო სამსახური;
- 1.2. ზოგადი პრაქტიკის ექთანმა უნდა იცოდეს თავისი *ფუნქციები და უფლება-მოვალეობები*. ჰქონდეს მათი შესრულების სურვილი და მზად იყოს ამისათვის;
- 1.3. ზოგადი პრაქტიკის ექთანს უნდა შეეძლოს, ზოგადად, ზოგადი პრაქტიკის ექთნების სამუშაოს თავისებურებათა აღწერა (მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე) და ზოგად პრაქტიკაში განსაკუთრებით გავრცელებულ პათოლოგიათა ავადობისა და დაავადებებიანობის მაჩვენებლების დასახელება. ამასთან, იგი უნდა აცნობიერებდეს ამ მონაცემების კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობას;
- 1.4. ზოგადი პრაქტიკის ექთანი კარგად უნდა აცნობიერებდეს თავისი *პროფესიული კომპეტენციის საზღვრებს*. პაციენტის მდგომარეობის პირველადი შეფასებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფსიქო-სოციალური ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე მას უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება ზოგადი პრაქტიკის/ოჯახის ექიმთან მკურნალობის აუცილებლობის შესახებ. ამასთან, საჭიროა მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს, თუ რამდენად სწრაფად (რა ვადაში) უნდა მოხდეს პაციენტის მიმართვა.

ზოგადი პრაქტიკის ექთანს უნდა შეეძლოს თავისი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს პრაქტიკული საქმიანობა და პირველადი სამედიცინო სამსახურის დონეზე უზრუნველყოს პაციენტებისათვის საექთნო სამედიცინო დახმარება ამა თუ იმ თერაპიული და რიგი ქირურგიული პათოლოგიების, ქალთა ჯანმრთელობის სპეციფიკური პრობლემების, კანის, ყელ-ყურ-ცხვირის, თვალის, ფსიქიკური, ალერგიული, ინფექციური დაავადებების შემთხვევაში.

2. ზოგადი პრაქტიკის ექთანმა უნდა იცოდეს:

ჯანდაცვის კანონმდებლობის საფუძვლები და უფლებები;
პირველადი ჯანდაცვის დონეზე სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის პრინციპები;
ზოგად პრაქტიკაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლისა და გაუმჯობესების მეთოდები;
პროფესიული ურთიერთობების ფსიქოლოგია, ფილოსოფია და მორალურ-ეთიკური ნორმები;
პირველადი ჯანდაცვის გუნდის ფუნქციონირებისა და გუნდური მუშაობის პრინციპები;
კლინიკური ეპიდემიოლოგიის საფუძვლები;
პრევენციული მედიცინის ფილოსოფია და საფუძვლები;
გავრცელებულ დაავადებათა პრევენციის გზები და მათი ეფექტიანობის დამადასტურებელი უახლესი მონაცემები;

ინფექციურ დაავადებათა პრევენციის გზები (მ.შ. იმუნიზაცია) მოზრდილებსა და ბავშვებში;
გულსისხლძარღვთა დაავადებების პრევენციის გზები;
ავთვისებიანი სიმსივნეების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდები;
ტრავმატიზმისა და უბედური შემთხვევების პრევენციის გზები;
ფსიქიკური ჯანმრთელობის დამკვიდრების გზები;
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციის მეთოდები;
ქალთა, მოზარდთა, ბავშვთა და ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დამკვიდრების პრინციპები და მათი განხორციელების გზები.
პაციენტის სანიტარიული განათლების ტიპები და მეთოდები;
ზოგად პრაქტიკაში ქრონიკულ დაავადებათა (შაქრიანი დიაბეტი, ბრონქული ასთმა, გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონული დაავადება) მართვის ძირითადი ასპექტები;
ორსულთა სამედიცინო მეთვალყურეობის ძირითადი პრინციპები;
ბავშვთა განვითარების შეფასების ძირითადი პრინციპები;
მოზრდილებსა და ბავშვებში გავრცელებული სომატური დაავადებების სიმპტომები და ნიშნები, მოსალოდნელი გართულებები და მათი თავიდან აცილების გზები;
გავრცელებული თერაპიული, ქირურგიული, გინეკოლოგიური, უროლოგიური, დერმატოლოგიური, ინფექციური, ნევროლოგიური, ფსიქიატრიული და ოფთალმოლოგიური პრობლემების კლინიკური ნიშნები, მართვისა და რეაბილიტაციის ძირითადი მეთოდები;
გავრცელებული გადაუდებელი მდგომარეობების მართვის გზები;
სამედიცინო დოკუმენტაციის, სააღრიცხვო-სტატისტიკური ფორმების წარმოების წესები და მნიშვნელობა.

ზოგადი პრაქტიკის ექთანს უნდა შეეძლოს:

პროფესიული კომპეტენციისა და უფლებების ფარგლებში გაანალიზოს კლინიკური სიტუაცია - შეაფასოს პაციენტის საჭიროებები, განსაზღვროს პრიორიტეტები და ხარისხიანად წარმართოს საექთნო მართვის პროცესი;
პაციენტებთან და კოლეგებთან კარგი კომუნიკაცია;
ექიმის დანიშნულების მიხედვით პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში დიაგნოსტიკური, სარეაბილიტაციო, პროფილაქტიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება;
პაციენტის მომზადება ლაბორატორიული და ფუნქციური გამოკვლევისათვის;
კონკრეტულ შემთხვევაში სამკურნალო საშუალებების მოქმედების ეფექტურობის შეფასება, მოსალოდნელი გვერდითი მოვლენების გამოცნობა და მედიკამენტური ინტოქსიკაციის შემთხვევაში პაციენტისთვის ექიმამდელი დახმარების გაწევა;
გადაუდებელ შემთხვევებში პირველი დახმარების აღმოჩენა;
საექთნო პროცესის ძირითადი ეტაპების დოკუმენტალურად გაფორმება.

ზოგადი პრაქტიკის ექთანი უნდა ფლობდეს:

საექთნო მანიპულაციების ტექნიკას;
ექთნის კომპეტენციის ფარგლებში პაციენტის გასინჯვისა და გარკვეულ სადიაგნოსტიკო ჩვენებებს;
საექთნო მოვლის ჩვენებებს;
პაციენტის კონსულტირებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური განათლების ხერხებს;
სამკურნალო საშუალებების მიღების, შენახვისა და მოხმარების წესებს.

II. კერძო ნაწილი

ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების პროგრამა მოიცავს 15 მოდულს. თითოეული მოდულის დახასიათება: სწავლების მიზანი, მოსალოდნელი შედეგები, განსახილველი საკითხები, ხანგრძლივობა, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგია წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში. პროგრამის პირველი დღე (8 საათი) ეთმობა პროგრამის მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო მეთოდების გაცნობას.

მოდული 1: პირველადი ჯანდაცვის არსი

განსახილველი საკითხები:

პირველადი ჯანდაცვის კონცეფცია და მისი ადგილი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში

პირველადი ჯანდაცვის განსაზღვრება, ფილოსოფია და ბაზისური ელემენტები საზოგადოებაზე ორიენტირებული პჯდ ექთნობა (საზოგადოების, გარემოს შეფასება, ეპიდემიოლოგიის ელემენტები)

პჯდ გუნდის განსაზღვრება და როლი

პირველადი ჯანდაცვის პოტენციური როლი და პირველადი ჯანდაცვის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს უნდა შეეძლოთ:

პირველადი ჯანდაცვის არსისა და მისი უმთავრესი ფუნქციების განმარტება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილი განსაზღვრებების შესაფერისად;

მთლიან ჯანდაცვის სისტემაში პირველადი ჯანდაცვის ადგილისა და მისი ადგილობრივი სამსახურების მნიშვნელობის განმარტება;

პირველადი ჯანდაცვის სხვა კადრების როლების გაგება და ზოგად პრაქტიკაში კლინიკური საქმიანობის განმახორციელებელ პროფესიონალებთან ექთნის ურთიერთობის პროცესის აღწერა.

მოდულისთვის განკუთვნილი დრო 8 საათი

მოდული 2: საექთნო საქმე ზოგად პრაქტიკაში - თეორიული საფუძვლები

საკითხის განხილვის მიზანი:

- მსმენელები გაეცნობიან საექთნო საქმის თეორიულ საფუძვლებს, კონცეფციასა და პრინციპებს
- ექთნის მორალურ-ეთიკურ ნორმებს
- არსებულ კანონმდებლობას

მოსალოდნელი შედეგები:

- მსმენელი გაეცნობა საექთნო საქმის ისტორიას, თანამედროვე თეორიებს და ეცდება მათ პრაქტიკულ განხორციელებას, არსებული სამართლებრივი რეგულაციისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების პირობებში;
- მსმენელი თავად განსაზღვრავს საკუთარ სასწავლო საჭიროებებს, რომლის დაკმაყოფილების საშუალება მას აღწერილი კურსის გავლისას ექნება.

განსახილველი საკითხები:

- საექთნო საქმის ისტორია
- ქვეყანაში საექთნო საქმის არსებული სიტუაცია, საკანონმდებლო, სამართლებრივი და მარეგულირებელი საკითხები
- ზოგადი პრაქტიკის ექთანი - *მოდელები*
- მორალურ-ეთიკური ნორმები
- სხვა ქვეყნების გამოცდილება და საქართველოში ამ გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობები
- საექთნო პროცესი (მოიცავს შეფასებას, მოვლის პრიორიტეტების დადგენას, მოვლის პროცესის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას)
- საექთნო დოკუმენტაციის წარმოება
- საექთნო მზრუნველობა და საექთნო მოვლა
- კომუნიკაცია
- პაციენტის განათლება (სწავლების ზოგადი პრინციპებით, სხვადასხვა ასაკის პაციენტის თავისებურებების გათვალისწინებით)
- საექთნო საქმის ფსიქო-სოციალური საფუძვლები (სულიერი ჯანმრთელობა, თანაგრძნობა, სტრესი და ადაპტაცია)

მეცადინეობების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მსმენელების სასწავლო საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისად, პერსონალური საექთნო სპეციფიკაციების შემუშავებას.

დავალემა:

კურსის მონაწილემ უნდა შეძლოს ახალი კონცეფციის გაცნობიერების საფუძველზე საკუთარი სასწავლო საჭიროებების ჩამოყალიბება და პერსონალურ საექთნო სპეციფიკაციების შემუშავება.

შეფასება:

1. მოდულის დასასრულს თითოეულმა მსმენელმა უნდა წარმოადგინოს საექთნო პროფილის კონკრეტული ვარიანტი, ამ «პროფესიონალის» სასწავლო საჭიროებების მითითებით;
2. მოდულის დასასრულს თითოეულმა მსმენელმა წერილობით უნდა წარმოადგინოს ნაშრომი, სადაც ასახული იქნება პრაქტიკის საჭიროებები, მისი პროფილის თავისებურებების გათვალისწინებით;

რეზიუმე:

მოდულისათვის დათმობილი საერთო დრო შეადგენს 16 საათს.

შეფასება:

შეფასება ტარდება ზოგადი პრაქტიკის ექთნების მასწავლებლების მიერ

მოდული 3: პაციენტთან კომუნიკაცია და კონსულტაციის მოდელები

საკითხის განხილვის მიზანი:

მოდულის სწავლების მიზანია მსმენელებისათვის პაციენტთან კომუნიკაციის და ზოგადი პრაქტიკისთვის ტიპური კონსულტაციის მოდელების გაცნობა. ასევე ეფექტური კომუნიკაციის ჩვევების გამომუშავება.

მოსალოდნელი შედეგები:

მოდულის გავლის საფუძველზე მსმენელი გაეცნობა:

- კონსულტაციის მოდელებს;
- პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის თავისებურებებს.

მოდულის დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს:

1. ეფექტური კომუნიკაციის საშუალებით შეაფასოს პაციენტის სამედიცინო და სოციალური საჭიროებები;
2. პაციენტის კონსულტირების გზით, დაეხმაროს მას ცხოვრების სტილის არჩევის თაობაზე სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

განსახილველი საკითხები:

1. საექთნო შეფასება სპეციფიკური ანამნეზის შეკრების გზით
2. ეფექტური კომუნიკაციის ჩვევები
3. კონსულტაციის მოდელები
4. სამედიცინო საჭიროებების შეფასება
5. პაციენტის სოციალური საჭიროებების შეფასება
6. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება

რეზიუმე:

სულ, მოდულისათვის განკუთვნილი დროა 32 საათი: 24 საათი მცირე ჯგუფური მუშაობისა და 8 საათი პრაქტიკული სწავლებისთვის.

შეფასება:

მსმენელის შეფასება მოხდება ექთან-მასწავლებლის მიერ კლინიკური მეთვალყურეობის პროცესში - რეალურ, საექთნო კონსულტაციაზე დასწრებით. ექთან-მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს, ასევე, წერილობითი შეფასება. შეფასების მეთოდოლოგიის შერჩევა მოხდება უშუალოდ სწავლების პროცესში.

მოდული 4: ჯანმრთელობის დამკვიდრება და დაავადებათა პრევენცია

საკითხის განხილვის მიზანი:

მსმენელი გაეცნობა ჯანმრთელობის დამკვიდრებისა და დაავადებათა პრევენციის მნიშვნელობას და შეიძენს პაციენტის სამკურნალო-პროფილაქტიკური განათლებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

მოსალოდნელი შედეგები:

მოდულის გავლის შემდეგ მსმენელს ექნება:

სათანადო ცოდნა ჯანმრთელობისა დამკვიდრებისა და დაავადებათა პრევენციის ეფექტიანი გზების თაობაზე;
უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს დაარწმუნოს პაციენტი ქცევის შეცვლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების აუცილებლობაში.

განსახილველი საკითხები:

- ჯანმრთელობის დამკვიდრებისაკენ მიმართული ღონისძიებები, რომელთა ეფექტურობა მეცნიერულად დადასტურებულია;
- ზოგად პრაქტიკაში დაავადებათა პრევენციის მეთოდები;
- ჯანმრთელობის დამკვიდრება - როგორ მოვაწყოთ და წარვმართოთ ჯანმრთელ პირთა კლინიკა.

დავალება:

პაციენტისათვის საგანმანათლებლო მასალის შემუშავება

რეზიუმე:

სულ მოდულისათვის განკუთვნილია 40 საათი. მ.შ. 32 საათი მცირე ჯგუფებში მუშაობისა და 8 საათი კლინიკური პრაქტიკისათვის.

მოდული 5: კლინიკური ჩვენებები

მიზანი:

მსმენელთა ბაზისური კლინიკური ჩვენების გაუმჯობესება

მოსალოდნელი შედეგები:

მსმენელი კიდევ ერთხელ გაიაზრებს ბაზისური საექთნო ჩვენების ათვისების აუცილებლობას ზოგად საექიმო პრაქტიკაში გავრცელებული პრობლემების მართვისთვის და შეაფასებს საკუთარ სასწავლო საჭიროებებს მომავლისათვის.

განსახილველი საკითხები:

პაციენტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეკრება, ოჯახური და სოციალური ცხოვრების ასპექტების გათვალისწინება;

პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით პაციენტის საჭიროებების შეფასება - სპეციფიკური ანამნეზური შეკითხვები, მნიშვნელოვანი სიგნალები პაციენტის მდგომარეობის შესახებ;

პრიორიტეტების განსაზღვრა - მიღებული სიგნალების დაკავშირება წარმოდგენილ პრობლემასთან და, პირველ რიგში, საშიში დაავადებების გამორიცხვა;

საჭიროებების შესაფერისი სამედიცინო მომსახურების ორგანიზება და მიწოდება;

პაციენტის მოვლის ბაზისური საექთნო, და გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკური ჩვენები, გავრცელებული პათოლოგიების მართვისთვის;

პრობლემის მართვის გეგმის შედგენა და განხორციელება;

სამკურნალო საშუალებების ძირითადი ჯგუფები და მათი დახასიათება.

კურსის გავლის საფუძველზე მსმენელი შეიძენს შესაფერის ცოდნასა და უნარ-ჩვენებს ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მართვისთვის:

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები: ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება (მიოკარდიუმის ინფარქტი, სტენოკარდია, გულის უკმარისობა, არითმიები), ჰიპერლიპიდემია, პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები - ხანგამოშვებით კოჭლობა, ტემპორალური არტერიტი.

სასუნთქი სისტემის დაავადებები: ბრონქული ასთმა, ბრონქიტი, პლევრიტი, პნევმონია - მართვის პრინციპები და ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენება; ფილტვის ტუბერკულოზი, ფილტვის კიბო, ფილტვის პროფესიული დაავადებები;

კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებები: ტკივილი მუცელში - საშიში ნიშნების გამოცნობა, წყლულოვანი და არაწყლულოვანი დისპეპსია, ნაწლავების დაავადებები: ყაბზობა, ცვლადი მოქმედება, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, ქავილი ანუსის არეში.

ნევროლოგიური პრობლემები: ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, თავის ტკივილი - მიზეზები, მართვის პრინციპები.

ენდოკრინოლოგია: შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, სიმსუქნე.

ჰემატოლოგია: ანემიები: რკინა დეფიციტური, B12/ფოლიუმჟავა დეფიციტური, თრომბოციტოპენია, პოლიციტემია, ჰემოფილია.

რევმატოლოგია: ზურგის ტკივილი; ძვალ-სახსროვანი პრობლემები: ართრიტები-ოსტეო, რევმატოიდული და სხვა; ოსტეოპოროზი, პოდაგრა, ტენდონიტი, მუხლის პრობლემები, კოლაგენოზები.

შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები: საშარდე ტრაქტის ინფექციები, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერტროფია, პროსტატის კიბო, სათესლე ჯირკვლის დაავადებები: ეპიდიდიმორქიტი, ჰიდროცელე, სათესლის კიბო, ვარიკოცელე.

ინფექციები: მოგზაურთა იმუნიზაცია, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, ვირუსული დაავადებები: ინფექციური მონონუკლეოზი, პოსტ ვირუსული დაღლილობა, ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, ჰეპატიტები, მალარია, კვებითი ტოქსიკო-ინფექციები, პარაზიტული დაავადებები.

ფსიქიკური ჯანმრთელობა: დეპრესია, აგზნება, დემენცია, ჭირისუფალი.

ოტო-რინოლარინგოლოგია: ტონზილიტი, ხმის ჩახლეჩა, ოტიტი, რინიტი, პოლიპები, თივის ცხელება, კატარი, სინუსიტები, სიყრუე, ყელის ტკივილი.

ოფთალმოლოგია: წითელი თვალი, გლაუკომა, მხედველობის დაკარგვა (უეცარი, თანდათანობითი), კატარაქტა, ხალაზიონი, სიელმე).

დერმატოლოგია: ეგზემა/დერმატიტის, ფსორიაზი, ხალი, მელანომა, მეჭეჭი, აკნე, ინფექციები - იმპეტიგო, ჰერპესი, სოკო, ურტიკარია, კანის კიბო.

ქირურგია: გავრცელებული ქირურგიული პათოლოგიები, მწვავე სისხლდენა, სისხლძარღვთა დაავადებები, ზედაპირული და ღრმა წყლულები, ჩირქოვანი დაავადებები - ჭრილობის ინფექცია, სწორი ნაწლავისა და ანალური მიდამოს დაავადებები, დამწვრობა, მოყინვა, მხრის ჩვეული ამოვარდნილობა და სხვ.. გადაუდებელი დახმარება ისეთი მდგომარეობების დროს, როგორცაა მოტეხილობა, ტრავმა და ა.შ.. პრევენციული კონსულტაცია ტრავმების თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ.

ზოგადი პრაქტიკის ექთანი შეძლებს შეიმუშავოს საექთნო მოვლის გეგმა ზემოჩამოთვლილი პრობლემების მართვისთვის

მოდულის გავლის საფუძველზე მსმენელი აითვისებს შემდეგ ჩვევებს:

- სადეზინფექციო ხსნარების დამზადება;
- ავადმყოფის მოვლის საგნების დეზინფექცია;
- ინსტრუმენტების, ნემსების, შპრიცების წინასასტერილიზაციო დამუშავება;
- შესახვევი მასალის, ტანსაცმლის, თეთრეულის განლაგება ბიქსებში;
- სტერილური ბიქსების მოხმარება;
- ხელების დეზინფექცია;
- სტერილური მაგიდის გაშლა;
- ავადმყოფის გადაყვანა და ტრანსპორტირება;
- საწოლის მომზადება;
- საწოლისა და სამოსი თეთრეულის შეცვლა;
- ტემპერატურის გაზომვა;
- ტემპერატურის მრუდის შედგენა;
- პულსის გასინჯვა;

სუნთქვის სიხშირის განსაზღვრა;
არტერიული წნევის გაზომვა;
ნაცხის აღება;
მენჯის ზომების დადგენა;
დიურეზის განსაზღვრა;
სათურისა და ყინულის პარკის გამოყენება;
მალამოს, პლასტირის გამოყენება;
წვეთების ჩაწვეთება ცხვირში, თვალში და ყურში;
ინსულინის დოზის აღება;
ყველა სახის ინექციები;
წვეთოვანი სისტემის აწყობა და დადგმა;
ვენაპუნქცია;
ეკგ გადაღება;
ნახველის მოგროვება;
ნახვევის დაღება;
გადაუდებელი დახმარება;
მოტეხილი ძვლების სატრანსპორტო იმობილიზაცია;
ზედაპირული სისხლმარდიდან სისხლდენის შეჩერება;
ლახტის დაღება შესაბამისი წესების დაცვით;
დამწვარი ზედაპირის დამუშავება;
ჭრილობის დამუშავება, ზედაპირული ჭრილობისას კანზე ლიგატურის დაღება;
კანის ნაკერების მოხსნა;
ყურის გამორეცხვა;
თვალის გამორეცხვა;
მხედველობის სიმახვილის დადგენა;
ფერადი მხედველობის შეფასება;
გლუკომეტრებისა და სხვა ტესტების გამოყენება;
პიკფლოუმეტრიის ჩვევები;
საინჰალაციო საშუალებების გამოყენების ჩვევები;
სამკურნალო საშუალებების აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოება

დავალება:

ინსულტის შემდგომ პერიოდში პაციენტის ბინაზე მოვლის გეგმის შემუშავება და შესაბამისი საექთნო ჩვევების დემონსტრირება (პაციენტის ჰიგიენა, მონიტორინგი, გართულებების პრევენციისათვის საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებები და სხვა)

შეფასება:

მაგალითი

მოდულის დასრულების შემდეგ მსმენელის ცოდნა შეფასდება ტესტ-კითხვარების საშუალებით ასთმის ფიზიოლოგიის, მაპროვოცირებელი ფაქტორებისა და ბავშვებსა და მოზარდებში ასთმის მართვის თავისებურებების თაობაზე. ასევე შეფასდება პიკფლოუმეტრის გამოყენებისა და პიკლოუმეტრიის რუკის ინტერპრეტაციის ჩვევები.

რეზიუმე:

სულ, მოდულისათვის განკუთვნილი დრო 276 საათი, მ.შ. 204 საათი მცირე ჯგუფებში მუშაობისა და 72 საათი კლინიკური სწავლებისთვის.

მოდული 6. გერიატრია

საკითხის განხილვის მიზანი

ზოგადი პრაქტიკის ექთანს უნდა შეეძლოს პირველადი ჯანდაცვის დონეზე შეაფასოს და მართოს ხანდაზმული პაციენტის პრობლემები. გამოხატავს რა პაციენტის მიმართ ემპათიას და თანაგრძნობას, ექთანი ცდილობს მიაღწიოს მართვის პროცესში პაციენტის/მომვლელის თანამონაწილეობას და მასთან შეათანხმოს მართვის გეგმა.

აცნობიერებს რა საკუთარი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებს, ზოგადი პრაქტიკის ექთანი განსაზღვრავს პაციენტის ოჯახის ექიმთან მიმართვის აუცილებლობას და უზრუნველყოფს ვიზიტის ორგანიზაციას.

მოსალოდნელი შედეგები

პროფესიული სწავლების პროგრამის დასრულების შემდეგ ზოგადი პრაქტიკის ექთანი:

შეიძენს შესაბამის ცოდნას, რაც მას საშუალებას მისცემს დროულად ამოიცნოს, გამოიკვლიოს, და შეაფასოს ხანდაზმულთა ჯანმრთელობის პრობლემები, მ.შ. გადაუდებელ შემთხვევებში;

გააცნობიერებს შემდეგ კონცეფციებს:

თანმხლები დაავადებების პრევალენტობის ზრდა ხანდაზმულ ასაკში და სირთულეები ასაკოვან პაციენტთან ურთიერთობაში

პოლიფარმაციის პრობლემები

პაციენტის მხარდაჭერა საკუთარი თავის დამოუკიდებლად მოვლის შეუძლებლობის შემთხვევაში.

განივითარებს პაციენტის შეფასების, მასთან კომუნიკაციის და ექიმთან ვიზიტის ორგანიზებისა და ხანგრძლივი მეთვალყურეობის უნარ-ჩვევებს;

შეძლებს მიღებული ცოდნისა და ჩვევების საფუძველზე ჩამოყალიბოს ხანდაზმულთა ჯანმრთელობის პრობლემების მართვის გეგმა.

ზოგადი პრაქტიკის ექთანმა უნდა იცოდეს:

გერიატრიული მედიცინის მიზნები და ამოცანები; დაბერების პროცესის თანამედროვე თეორიები; გერიატრიული კლინიკური ფარმაცოლოგიის საფუძველები; დაბერებასთან დაკავშირებული ფუნქციური ცვლილებები; მოხუც და ხანდაზმულ პაციენტებში გავრცელებული დაავადებების სიმპტომები, მიმდინარეობა და მართვა; ხანდაზმულთა ძირითადი სამედიცინო და სოციალური პრობლემები; ქვეყანაში არსებული გერიატრიული სამსახურები.

ხანდაზმული ასაკის პრობლემების ეპიდემიოლოგია, მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური გარემო; ისეთი გავრცელებული დაავადებებისა და მდგომარეობების მართვა, როგორცაა პარკინსონის დაავადება, ინსულტი, დაცემა, სიარულის გამძნელება, ცნობიერების შეცვლა და ა.შ.

ხანდაზმულეებში გავრცელებული დაავადებების მართვა და პროტოკოლების გამოყენება.

ზოგადი პრაქტიკის ექთანს უნდა შეეძლოს:

ხანდაზმული პაციენტის საჭიროებების შეფასება და სათანადო ინფორმაციის პაციენტის სამედიცინო ბარათში რეგისტრაცია.
სათანადო გასინჯვისა და გამოკვლევების ჩატარება და/ან ორგანიზება;
მედიკამენტოზური მკურნალობის შეფასება;
ხანდაზმული პაციენტის/მომვლელის კონსულტირება პრევენციული ღონისძიებების და პალიატიური მკურნალობის შესახებ;
გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.

განსახილველი საკითხები:

ხანდაზმულთა სიცოცხლის ხარისხის შენარჩუნება, ხანდაზმულთა სისტემატური უზრუნველყოფა პრევენციის პროგრამებით;
ხანდაზმულებში გავრცელებული პრობლემების სკრინინგი და მათი მართვა;
ხანდაზმულთა ინტერესების გათვალისწინება პრაქტიკის მიერ შეთავაზებული სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხის განხილვისას;
უწყვეტი სამედიცინო მეთვალყურეობის უზრუნველყოფა ხანგრძლივი სამედიცინო პრობლემების მქონე და ქრონიკული პაციენტებისათვის;
პაციენტის ოჯახსა და ახლობლებზე ხანდაზმულთა პრობლემების სოციალური და ფსიქოლოგიური ზეგავლენის მნიშვნელობა;
საავადმყოფოდან და/ან სხვა დაწესებულებიდან გამოწერილი პაციენტებისათვის თემში ხელახლა დამკვიდრებაში მხარდაჭერა, სპეციფიკური ლოკალური ფაქტორების შეფასება;
თანაგრძნობის და ეფექტური მზრუნველობის გაწევა ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტებისათვის;
გუნდური მუშაობის პრიორიტეტულობა გერიატრიული პრობლემების გადაჭრის პროცესში;
ხანდაზმულთა ინფორმაციით და შესაბამისი განათლებით უზრუნველყოფა პრაქტიკაში;
არაფორმალური მზრუნველების მხარდაჭერა მათი გადაღლის და „ფორმიდან“ გამოსვლის თავიდან ასაცილებლად;
ხანდაზმულთა ინტერესებში მოქმედება და სადაც საჭიროა, ამ ინტერესების დაცვა.

მოდულისათვის დათმობილი საერთო დრო შეადგენს 40 საათს, 24 საათს მცირე ჯგუფური მეცადინეობისა და 16 საათს პრაქტიკული სწავლებისთვის.

შეფასება:

ცოდნის შეფასება მოხდება დავალებზე მუშაობით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ხანდაზმული პაციენტის/მომვლელის სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური საჭიროებების შეფასებასა და საექთნო კლინიკური გადაწყვეტილების მიღებაზე, პრიორიტეტების დასახვასა და მართვის გეგმის განხორციელებაზე, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფის ასპექტებზე.

მოდული 7: გადაუდებელი გავრცელებული პრობლემების მართვა

საკითხის განხილვის მიზანი:

ზოგადი პრაქტიკის ექთანს უნდა შეეძლოს შეაფასოს და მართოს გადაუდებელი სამედიცინო პრობლემები, მიაღწიოს მართვის პროცესში პაციენტის თანამონაწილეობას და მასთან შეათანხმოს მართვის გეგმა.

აცნობიერებს რა საკუთარი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებს, ზოგადი პრაქტიკის ექთანი განსაზღვრავს პაციენტის ოჯახის ექიმთან/სტაციონარში მიმართვის აუცილებლობას და უზრუნველყოფს მის ორგანიზაციას. მისი მოქმედება კოორდინირებულია პირველადი ჯანდაცვის უწყის სხვა წევრების საქმიანობასთან.

მოსალოდნელი შედეგები:

პროფესიული სწავლების პროგრამის დამთავრების შემდეგ ზოგადი პრაქტიკის ექთანს:

შეძლება სხვადასხვა გავრცელებული დაავადების ფონზე განვითარებული გადაუდებელი მდგომარეობების კლინიკური გამოვლინებების (სიმპტომები და სინდრომები) ამოცნობა;

ექნება ცოდნა ზოგად პრაქტიკაში გავრცელებული გადაუდებელი მდგომარეობების მართვის მეთოდებსა და გადაუდებელი მდგომარეობების მართვის პროცესში გამოყენებული მედიკამენტების ფარმაკოლოგიურ მახასიათებლებზე.

შეძლება ზოგად პრაქტიკაში გავრცელებული გადაუდებელი მდგომარეობების მართვის გეგმის ჩამოყალიბება; გადაუდებელი ფსიქიკური მდგომარეობების მართვა; გადაუდებელი დახმარების მედიკამენტების ჩამოთვლა და მისი საჭიროების დასაბუთება; დემონსტრირება იმისა, რომ მას ესმის რეალური და ჰიპერდიაგნოსტირებული გადაუდებელი მდგომარეობების გავლენა პაციენტსა და მის ახლობლებზე; დახმარება პაციენტის ადრეული ჰოსპიტალიზაციის საკითხში.

იმ გადაუდებელი მდგომარეობების მკურნალობის პრინციპების გააზრება, რომელთა მართვა ხდება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პირველადი ჯანდაცვის დონეზე, სამკურნალო პროტოკოლების ჩათვლით.

შეძლება პაციენტს/ოჯახს მიაწოდოს ინფორმაცია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრობლემების მოცულობისა და კონკრეტული ლოკალური ფაქტორების გაცნობიერებით (მათ შორის მანძილი სხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან).

განსახილველი საკითხები:

გავრცელებული გადაუდებელი პრობლემების ადრეული დიაგნოსტიკა.

გადაუდებელი დახმარება შოკის და კარდიოვასკულარული, რესპირატორული, ცენტრალური ნერვული სისტემის, ფსიქიური სფეროს დაზიანებით და ძლიერი ტკივილით გამოწვეული სხვა მდგომარეობების დროს; გადაუდებელი ფსიქიკური მდგომარეობების მართვა.

რჩევების მიცემა სათანადო შემთხვევებში მოსალოდნელი გადაუდებელი მდგომარეობების პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მაგ. იშემიური ტკივილის მართვა.

სამკურნალო ღონისძიებები გავრცელებული გადაუდებელი სამედიცინო პრობლემების შემთხვევაში, მათ შორის ABC პრინციპის გამოყენებით.

მოდულისათვის დათმობილი საერთო დრო შეადგენს 24 საათს, 16 საათს მცირე ჯგუფური მეცადინეობისა და 8 საათს პრაქტიკული სწავლებისთვის.

მოდული 8: ტერმინალური პაციენტის მოვლა

საკითხის განხილვის მიზანი:

ტერმინალური პაციენტისათვის განსაკუთრებული მოვლის უზრუნველყოფის მნიშვნელობის განმარტება.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოდულის გავლის საფუძველზე მსმენელი შეიძენს ტერმინალური პაციენტის მოვლისათვის აუცილებელ ცოდნას;
2. მსმენელი გააცნობიერებს ტერმინალური პაციენტისა და მისი ახლობლებისათვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მნიშვნელობას;
3. მოდულის გავლის საფუძველზე მსმენელი შეიძენს ტერმინალური პაციენტის მოვლისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს:
 - ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება საწოლში;
 - ავადმყოფის ჰიგიენური დამუშავება;
 - ნაწოლების პროფილაქტიკა;
 - ავადმყოფის კვება საწოლში;
 - საკვების მიწოდება ზონდით;
 - ავადმყოფის კვება გასტროსტომიდან;
 - ჟანგბადის მიწოდება;
 - ღამის ქოთნისა და შარდის მიმღების მიწოდება;
 - აირგამტარი მილის დაყენება;
 - ყველა სახის ოყნის გაკეთება;
 - შარდის ბუშტის კათეტერიზაცია.

განსახილველი საკითხები:

1. ტკივილის კონტროლი
2. პაციენტის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა
3. ოჯახზე ზრუნვა

მოდულისათვის დათმობილი საერთო დრო შეადგენს 32 საათს, 16 საათს მცირე ჯგუფური მეცადინეობისა და 16 საათს პრაქტიკული სწავლებისთვის.

შეფასება:

ცოდნის შეფასება მოხდება წერილობითი ტესტის საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ტერმინალური პაციენტის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფის ასპექტებზე.

მოდული 9: პედიატრიული პრობლემები

საკითხის განხილვის მიზანი:

მოდულის შესწავლა მიზნად ისახავს მსმენელებისათვის ბავშვთა ნორმალური ზრდა-განვითარების მახასიათებლებისა და ამასთანავე, გავრცელებული ფიზიკური და ქცევითი პრობლემების გაცნობას.

მოსალოდნელი შედეგები:

მოდულის გავლის შედეგად მსმენელი შეძლებს:

- აწარმოოს ბავშვთა ზრდა-განვითარებაზე მეთვალყურეობა და მოახდინოს ნორმიდან გადახრის იდენტიფიკაცია;
- შეაფასოს ბავშვის მდგომარეობა და განსაზღვროს, დროული რეფერალის აუცილებლობა.

განსახილველი საკითხები:

პირველადი ჯანდაცვის გუნდის როლი ბავშვის მოვლის და მისი ჯანმრთელობის დაცვის საქმეში

პედიატრიული საექთნო ანამნეზის შეკრება

ბავშვის ანტროპომეტრიის ჩვენებები

ჯანმრთელი ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფასება

ბავშვებში ჯანმრთელობის დამკვიდრება

იმუნიზაცია

უბედური შემთხვევების პრევენცია

ბავშვებზე ძალადობა

ბავშვთა კვება

ძუძუთი კვება

ხელოვნური კვება

რკინადეფიციტური ანემიის პროფილაქტიკა

ჯანსაღი კვებას პრინციპები

ბავშვთა ასაკის ხშირი ინფექციური დაავადებები

ზედა სასუნთქი გზების ინფექციები

ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები

შუა ყურის ოტიტი

სტრეპტოკოკული ფარინგიტი და ტონზილიტი

ენტერობიოზი

ასკარიდოზი.

საშარდე გზების ინფექციები

მენინგიტი

დიფტერია

ვირუსული ინფექციები (წითელა, წითურა, ყივანახველა, ყბაყურა, პოლიომიელიტი, ჩუტყვავილა)

ცხელება (ფებრილური კრუნჩხვა)

ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენება

ბავშვები სპეციფიკური პრობლემებით

ქრონიკულად დაავადებული ბავშვი

მოდულის გავლის საფუძველზე მსმენელი აითვისებს შემდეგ ჩვევებს:

სარძევე ჯირკვლის გასინჯვა;
ძუძუთი კვების წესები;
ჭიპის მოვლა;
ახალშობილთა პირველი ტუალეტი;
ახალშობილთა ანთროპომეტრია;
ხელოვნური საკვების მომზადება და ბავშვის კვება;

დავალება:

მაგალითი: კლინიკური შემთხვევის აღწერა ზრდისა და განვითარების მონიტორინგის თაობაზე.

რეზიუმე:

სულ მოდულისათვის განკუთვნილია 32 საათი: 24 საათი მცირე ჯგუფებში მუშაობისა და 8 საათი პრაქტიკული სწავლებისთვის;

შეფასება:

შეფასება დავალებული სამუშაოს შესრულების ხარისხი. დამატებით ჩატარდება წერიითი შეფასება ბავშვთა ასაკში განსაკუთრებით გავრცელებული პრობლემების თაობაზე.

მოდული 10: ქალთა ჯანმრთელობა

საკითხის განხილვის მიზანი:

ორსულობის, მენსტრუალური ციკლის დარღვევისა და მენოპაუზის თაობაზე მსმენელების ცოდნის გაღრმავება და ამ საკითხების თაობაზე პაციენტის კონსულტირების ჩვევების განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები:

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს ადეკვატური რჩევა მისცეს პაციენტს მენტრუალური პრობლემების შემთხვევაში, კერძოდ დისმენორეის, ამენორეისა და მენორაგიის დროს;
მოდულის გავლის შემდეგ მსმენელი შეძლებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ორსულთა მეთვალყურეობაში და უზრუნველყოს ორსულის სამკურნალო-პროფილაქტიკური განათლება.

განსახილველი საკითხები:

გამონადენი საშოდან, მიზეზები, პრობლემის მართვა, პრევენციის პრინციპები
მენჯის ღრუს ორგანოთა ანთებითი დაავადებები
მენტრუალური ციკლის დარღვევები
ამენორეა
მენორაგია
პრე-მენტრუალური სინდრომი
მენოპაუზა-ოსტეოპოროზი
სარძევე ჯირკვლის დაავადებები, სარძევე ჯირკვლის კიბოს ადრეული იდენტიფიკაციის მეთოდები და მათი დიაგნოსტიკური ღირებულება;
ორსულობა: ორსულთა მეთვალყურეობა და კონსულტირება
ნორმალური ორსულობის მიმდინარეობა, პერინატალური და ანტენატალური მეთვალყურეობა.
საშვილოსნოსგარე ორსულობა-რისკი, საგანგაშო ნიშნები
ორსულობით ინდუცირებული ჰიპერტონია.
ორსულთა დიაბეტი.
დედის მოვლა ლოგინობის ხანაში, პოსტნატალური დეპრესია

რეზიუმე:

მოდულისათვის განკუთვნილი საერთო დრო შეადგენს 32 საათს, აქედან, 24 საათი მცირე ჯგუფში მუშაობისა და 8 საათი პრაქტიკული მეცადინეობისათვის.

შეფასება:

შეფასება ჩატარდება გასაუბრების სახით. გასაუბრების სტრუქტურა და დეტალები განისაზღვრება ექთან-მასწავლებლის მიერ.

მოდული 11: სქესობრივი ჯანმრთელობა

საკითხის განხილვის მიზანი:

მოზარდებისა და მოზრდილების სქესობრივი ქცევის თავისებურებების განხილვა, რაც მსმენელს საშუალებას მისცემს უზრუნველყოს სქესობრივი ჯანმრთელობის დამკვიდრება.

მოსალოდნელი შედეგები:

მსმენელები გააცნობიერებენ სქესობრივი ქცევის თაობაზე პაციენტისათვის სათანადო რჩევა-დარიგების მიცემის აუცილებლობას;
განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოზარდებში სქესობრივი ჯანმრთელობის დამკვიდრებას_სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და არასასურველი ორსულობისა თავიდან აცილების მიზნით.

განსახილველი საკითხები:

- სქესობრივი ჯანმრთელობის დამკვიდრება
- რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?
- სქესობრივი ჯანმრთელობა მოზარდებში
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები
- ოჯახის დაგეგმვა
- კონტრაცეპცია

რეზიუმე:

სულ მოდულისათვის განკუთვნილი დრო 16 საათია (მცირე ჯგუფებში მუშაობის სახით)

მოდული 12: კვება

საკითხის განხილვის მიზანი:

სხვადასხვა ასაკის პაციენტისათვის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული სპეციფიკური კვებითი რეკომენდაციების განხილვა.

მოსალოდნელი შედეგები:

მსმენელი გაეცნობა თანამედროვე რეკომენდაციებს, როგორც ზოგადად ჯანსაღი კვების, ასევე სპეციფიკური დიეტური რეჟიმის თაობაზე;
მსმენელი განივითარებს ინტერნეტსა და სამეცნიერო ჟურნალებში უახლესი კვებითი რეკომენდაციების მოძიების ჩვევებს;
მოდულის გავლის შემდეგ მსმენელი შეძლებს პაციენტს მისცეს სპეციფიკური რჩევა-დარიგება კვების რეჟიმისა და აუცილებელი საკვები ინგრედიენტების თაობაზე.

განსახილველი საკითხები:

- II. ბავშვებისა და მოზარდების კვების პრინციპები და მათი ნუტრიციული საჭიროებები
- III. სპეციფიკური კვებითი რეკომენდაციები ზოგიერთი გავრცელებული მდგომარეობის დროს
- IV. სიმსუქნე
- V. საკვების მიღებასთან დაკავშირებული დარღვევები
- VI. კვებითი დეფიციტის იდენტიფიკაცია და მართვა

დავალება:

მაგ. 16 წლის ბიჭისათვის, რომელიც საკმაოდ აქტიურად ვარჯიშობს დეტალური კვებითი რეკომენდაციების შემუშავება.

რეზიუმე:

სულ მოდულისათვის განკუთვნილი დრო შეადგენს 32 საათს: მ.შ. 24 საათი მცირე ჯგუფური მეცადინეობისა და 8 საათი პრაქტიკული სწავლებისთვის;

მოდული 13: კლინიკური აუდიტი

საკითხის განხილვის მიზანი:

კლინიკური აუდიტის მნიშვნელობის განხილვა. მისი როლი პრაქტიკის საქმიანობის გაუმჯობესებისა და «საუკეთესო პრაქტიკის» შექმნის პროცესში.

მოსალოდნელი შედეგები:

მსმენელი გაეცნობა აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგიას;
მსმენელი პრაქტიკულად ჩაატარებს აუდიტს კონკრეტული საკითხის თაობაზე და დასახავს გარკვეულ ღონისძიებებს გაუმჯობესების მისაღწევად.

განსახილველი საკითხები:

- კლინიკური აუდიტის თეორია
- კლინიკური აუდიტის გამოყენება პრაქტიკაში
- აუდიტის შედეგების შეფასება

დავალება:

საოჯახო მედიცინის სასწავლო პრაქტიკებში პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმების საფუძველზე აუდიტისათვის თემის შერჩევა და მისი განხორციელება.

რეზიუმე:

სულ მოდულისათვის განკუთვნილი დრო შეადგენს 16 საათს (მცირე ჯგუფური მუშაობისთვის)

შეფასება:

შეფასდება ექთნის მიერ შესრულებული აუდიტი. შეფასებაში მონაწილეობას მიიღებენ საოჯახო მედიცინის პრაქტიკის მენეჯერები და დაწესებულების ხელმძღვანელები.

მოდული 14: მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა და პრაქტიკა

საკითხის განხილვის მიზანი:

მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინისა და პრაქტიკის კონცეფციის სწავლება და საექთნო საქმიანობისათვის მისი მნიშვნელობის განხილვა.

მოსალოდნელი შედეგები:

მოდულის გავლის საფუძველზე ექთანი გააცნობიერებს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის თეორიას, შეძლებს პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელი ცვლილებების იდენტიფიცირებას და განახორციელებს ამ ცვლილებების მართვას.

განსახილველი საკითხები:

2. რა არის მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა?
3. რატომ არის იგი მნიშვნელოვანი საქართველოსათვის?
4. როგორ აისახება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის მონაცემები საექთნო საქმიანობაზე?
5. მეცნიერულ მტკიცებულებათა წყაროები
6. როგორ ვაქციოთ რეალობად მეცნიერულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა?

რეზიუმე:

სულ მოდულისათვის განკუთვნილი დრო 16 საათია, რაც დაეთმობა მცირე ჯგუფებში მუშაობას.

შეფასება:

თითოეული ექთანი წარმოადგენს საკუთარი პრაქტიკის მონაცემებს და წინადადებებს იმის თაობაზე, თუ რა უნდა შეიცვალოს. ეს დამყარებული იქნება ჩატარებული აუდიტის შედეგებზე. მსმენელმა უნდა განსაზღვროს ცვლილებების განხორციელების გზები და მრავალდისციპლინარულ შეკრებაზე წარმოადგინოს თავისი პროექტი. განხილვასა და შეფასებაში მონაწილეობას მიიღებს პრაქტიკის ყველა წევრი.

მოდული 15: მენეჯმენტის საფუძვლები

მიზანი: ექთნებისთვის მართვის თეორიული საფუძვლების გაცნობა. ლიდერობის, გუნდური მუშაობისა და საოჯახო მედიცინის პრაქტიკის ორგანიზაციისა და მართვის ჩვევების განვითარება

განსახილველი საკითხები

მართვა და ლიდერობის ჩვევები - 24 საათი

მართვის თეორიები, ცვლილებების მართვა და ორგანიზაცია
მართვის სხვადასხვა სტილი
ლიდერობის ტიპები და პრინციპები

პუდ ცენტრის ორგანიზაციული მოწყობა/უზრუნველყოფა - 48 საათი

ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურა და მისი კომპონენტების ფუნქციები პირველად ჯანდაცვასთან კავშირში; ფინანსური და იურიდიული სისტემები, რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი კონკრეტული ობიექტის (პრაქტიკის) ფუნქციონირებს პირობებს.

თემის ჯანმრთელობის საჭიროებები მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით; თემის მობილიზაცია; ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურების ურთიერთობის მნიშვნელობა

საექთნო მენეჯმენტი

პაციენტთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება და ამ ურთიერთობის შენარჩუნება; პიროვნების როლის, რწმენისა და ღირებულებების შეფასება ყველა განზომილებაში: ოჯახის, თემის, სოციალური და კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით

პაციენტზე ორიენტირებული მომსახურების მოდელი, რომლის ამოსავალი წერტილი პაციენტის ინტერესების განსაზღვრაა (მაგ. მოსაზრებები, წუხილი და მოლოდინი), რომლის შემდეგაც ხდება სამედიცინო საჭიროებებთან «ჯანმრთელობის პროფესიონალების ინტერესებთან» მათი შერწყმა, საერთო საფუძვლის გამოძებნა და ერთიანი სამომავლო გეგმის ჩამოყალიბება; გადაწყვეტილების მიღებისას პაციენტის ავტონომიურობის აღიარება საპაემანო სისტემის დიზაინი და კონსულტაციების დაგეგმვა

საექთნო საქმიანობის სტანდარტები

სამედიცინო ლიტერატურის მოძიების, კითხვისა და კრიტიკული შეფასების, უწყვეტი განათლებისა და ხარისხის გაუმჯობესების პრინციპების შემუშავება და გამოყენების უნარ-ჩვევები

სამუშაო დატვირთვისა და მომსახურების გასაწევად საჭირო საშუალებების (პერსონალი, აღჭურვილობა და ა.შ.) ზეგავლენის გაცნობიერებას ცალკეული პაციენტისათვის გაწეულ მომსახურებაზე.

სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება/შენახვა

რესურსების მართვა - 16 საათი

დროის მენეჯმენტი – პრიორიტეტების განსაზღვრა; თვითმენეჯმენტი
სამედიცინო მარაგების მართვა

გუნდური მუშაობა და მენეჯმენტი - 16 საათი

გუნდის განვითარების დინამიკა

ეფექტური გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები; გუნდის წევრების განსხვავებული შესაძლებლობები და როლები

საოჯახო მედიცინის გუნდის საქმიანობის ორგანიზაცია; პჯდ გუნდის სხვა წევრებთან ეფექტური კომუნიკაცია

ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემების მართვის საფუძვლები;
საინფორმაციო სისტემები საოჯახო მედიცინაში - 12 საათი

მონაცემთა აღრიცხვიანობისა და ანგარიშგების სისტემა
საოჯახო მედიცინაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად ინფორმაციის მნიშვნელობა თემის ჯანმრთელობის საჭიროებების შესახებ
მონაცემთა შეგროვება, რეფერალის დოკუმენტირება
ინფორმაციის მართვა - გუნდური მუშაობის, პრაქტიკის მართვისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის საორგანიზაციო უნარ-ჩვევები

მოსალოდნელი შედეგები:

მოდულის გავლის შემდეგ ექთანს უნდა შეეძლოს საექთნო საქმიანობის განხორციელების პროცესში მენეჯმენტისა და ლიდერობის პრინციპების შესახებ ცოდნის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნებისა და შესაფერისი მიდგომის დემონსტრირება. ექთანი შეიძენს გუნდში მუშაობის ჩვევებს და შეძლებს ეფექტურად შეასრულოს რუტინული საქმიანობა პჯდ პრაქტიკაში.

რეზიუმე:

სულ მოდულისათვის განკუთვნილი დრო 116 საათია, რაც დაეთმობა მცირე ჯგუფებში მუშაობას.

შეფასება:

შეფასებისათვის დეტალური მეთოდოლოგია შემუშავდება ექთან-მასწავლებლის მიერ პროგრამის მიმდინარეობის პროცესში.

სასურველია, შეფასდეს ბიზნეს-გეგმაზე მუშაობის პროცესი. თითოეული ექთანი წარმოადგენს პროექტს იმის თაობაზე, თუ რა უნდა შეიცვალოს. ეს დამყარებული იქნება ჩატარებული აუდიტის შედეგებზე. მსმენელმა უნდა განსაზღვროს ცვლილებების განხორციელების გზები და აუდიტორიას წარმოუდგინოს თავისი პროექტი. განხილვასა და შეფასებაში მონაწილეობას მიიღებს ჯგუფის ყველა წევრი.

III. მრავალდისციპლინარული სწავლება

სასწავლო პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში, პირველადი ჯანდაცვის გუნდების ფორმირების ხელშეწყობის, ექიმებსა და ექთნებს შორის ახალი ტიპის ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და მათ

მიერ ერთმანეთის საქმიანობის მოცულობის, ფუნქციებისა და როლების, პროფესიული თავისებურებებისა და უფლება-მოვალეობების უკეთ გაცნობიერების მიზნით ჩატარდება ზოგადი პრაქტიკის ექთნებისა და ოჯახის ექიმების გადამზადების სასწავლო პროგრამის მსმენელების გაერთიანებული მეცადინეობები. კვირაში ერთხელ 4 აკადემიური საათი, რაც სრული პროგრამისთვის შეადგენს 96 საათს.

IV. ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების სასწავლო გეგმა

კურსის საერთო ხანგრძლივობა - 816 საათი

მოდული	მცირე ჯგუფებში მუშაობა	კლინიკური პრაქტიკა	ჯამი
შესავალი	8	-	8
მოდული 1. პირველადი ჯანდაცვის არსი	8	-	8
მოდული 2. საექთნო საქმე ზოგად პრაქტიკაში - თეორიული და ორგანიზაციული საფუძვლები	16	-	16
მოდული 3. პაციენტთან კომუნიკაცია და კონსულტაციის მოდელები	24	8	32
მოდული 4. ჯანმრთელობის დამკვიდრება და დაავადებათა პრევენცია	16	16	32
მოდული 5. კლინიკური ჩვენებები			
6.1. პაციენტი გულ-სისხლძარღვთა პრობლემებით	24	8	32
6.2. პაციენტი სასუნთქი სისტემის პრობლემებით	16	16	32
6.3. პაციენტი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემებით	12	-	12
6.4. პაციენტი საშარდე სისტემის პრობლემებით	8	-	8
6.5. ენდოკრინული სისტემის დაავადებები	24	8	32
6.6. ნერვული სისტემის დაავადებები	16	-	16
6.7. პაციენტი დერმატოლოგიური პრობლემებით	8	-	8
6.8. პაციენტი ყელ-ყურ-ცხვირის პრობლემებით	8	-	8
6.9. პაციენტი ოფთალმოლოგიური პრობლემებით	8	-	8
6.10. პაციენტი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებით	8	8	16
6.11. ინფექციური დაავადებები	16	-	16
6.12. ჰემატოლოგია	8	-	8
6.13. რევმატოლოგია და ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებები	16	-	16
6.15. ქირურგიული პრობლემების მართვა	8	8	16
6.16. საექთნო პროცესი - პრაქტიკული უნარ-ჩვევები	24	24	48
7. მოდული 6. გერიატრიული პრობლემების მართვა	24	16	40

8.	მოდული 7. გადაუდებელი გავრცელებული პრობლემების მართვა	16	8	24
9.	მოდული 8. ტერმინალური ავადმყოფის მოვლა	16	16	32
10.	მოდული 9. პედიატრიული პრობლემები	24	16	40
11.	მოდული 10. ქალთა ჯანმრთელობა	24	8	32
12.	მოდული 11. სქესობრივი ჯანმრთელობა	20	-	20
13.	მოდული 12. კვება	20	-	20
14.	მოდული 13. კლინიკური აუდიტი	16	-	16
15.	მოდული 14. მეცნიერულ მტკიცებებზე დაფუძნებული პრაქტიკა	8	-	8
16.	მოდული 15. მენეჯმენტის საფუძვლები; საოჯახო მედიცინის პრაქტიკის ორგანიზაცია და მართვა	116	-	116
17.	მრავალდისციპლინარული სწავლება	96	-	96
	სულ	596	160	816

**V. ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების სასწავლო პროგრამის
შემაჯამებელი შეფასების ჩატარების წესები**

1.1. ზოგადი პრაქტიკის ექთნის გადამზადების პროგრამის შემაჯამებელი შეფასება მოიცავს სამ ეტაპს:

ექთნის (მსმენელის) პროფესიული ცოდნის შეფასება ტესტური კითხვარის საშუალებით;
სიტუაციური ამოცანებზე პასუხის გაცემა წერილობით;
ზეპირი გამოცდა.

1.2. შეფასების თითოეული ეტაპის ჩატარების შესახებ დამატებითი ინფორმაცია და ექთნის პროფესიული ცოდნის შეფასების ხერხები წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში.

1.3. შემაჯამებელი შეფასების ჩაბარებისა და პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღებისათვის ექთანმა წარმატებით უნდა გაიაროს შეფასების სამივე ეტაპი.

2.1. პირველი ეტაპი-ტესტური კითხვარით შეფასების ჩატარების ზოგადი წესები

ოჯახის ექთნის გადამზადების პროგრამის შემაჯამებელი შეფასების პირველი ეტაპი მოიცავს ტესტ-კითხვარზე პასუხის გაცემას.

შეფასების ამ ეტაპისათვის განკუთვნილია ორი საათი.

თითოეულ ბილეთში წარმოდგენილი 100 ძირითადი შეკითხვიდან 60% წარმოდგენილი იქნება ზოგადი პრაქტიკის ექთნის სასერტიფიკაციო გამოცდისათვის განკუთვნილი შეკითხვების ბანკიდან. შეკითხვების 40% მუშავდება უშუალოდ ჯამური შეფასების წინ და მისი შინაარსი ექთნებისათვის წინასწარ ცნობილი არ არის.

საგამოცდო ბილეთში შეკითხვების 60% მოცემული იქნება შინაგანი მედიცინიდან, ხოლო დანარჩენი 40% განაწილდება სხვა სფეროებზე, როგორცაა ქალთა ჯანმრთელობა, გერიატრია, პედიატრია, სქესობრივი ჯანმრთელობა და სხვა.

ექთანს მიიღებს დადებით შეფასებას და დაიშვება გამოცდის მეორე ეტაპზე, თუ სწორად გასცემს პასუხს შეკითხვების 75%-ზე მეტს.

2.2. მეორე ეტაპი – ექთნის შეფასება სიტუაციური ამოცანაზე წერილობით პასუხის გაცემით გზით

თითოეულ ბილეთში წარმოდგენილია ოთხი სიტუაციური ამოცანა.

გამოცდის ამ ეტაპს დაეთმობა ორი საათი.

სიტუაციური ამოცანის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი:

ექთნის მიერ პაციენტის კონსულტირების პროცესში ინფორმაციის შეკრების უნარი;

შეკრებილი ინფორმაციის შეფასების უნარი;

ახდენს თუ არა ექთანს პრობლემის განსაზღვრას ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური თვალდახედვით;

განიხილავს თუ არა ექთანს პაციენტის პრობლემას ოჯახთან მიმართებაში;

შეუძლია თუ არა ექთანს შეადგინოს პაციენტის მოვლისათვის მომზადებისა და მისი მართვის გეგმა;

შეუძლია თუ არა ექთანს, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაფერისი მოვლის შერჩევა;

აქვს თუ არა ექთანს პაციენტის მიერ დანიშნულების შესრულების პრობლემის შესაფერისი გაგება;

ახდენს თუ არა ექთანი პრაქტიკისა და საზოგადოებრივი რესურსების შესაფერის ორგანიზაციასა და მობილიზაციას;
 აცნობიერებს თუ არა ექთანი ხანგრძლივი და მიმდინარე მეთვალყურეობის მნიშვნელობას;
 შეუძლია თუ არა ექთანს წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი პრობლემები;
 ითვალისწინებს თუ არა ექთანი დროის ფაქტორს;
 ახდენს თუ არა ექთანი პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტების ჩამოყალიბებას და თითოეულის დადებითი და უარყოფითი მხარის განსაზღვრას;
 აქვს თუ არა ექთანს გადაწყვეტილების მიღების უნარი;
 რამდენად ითვალისწინებს ექთანი ფინანსურ ასპექტებს.

მიითითებები პასუხის შეფასების შესახებ

შეფასების მაჩვენებელი

- 0**
«არ არსებული»
- არ არის წარმოდგენილი არავითარი ინფორმაცია პრობლემის კონკრეტული ასპექტის შესახებ (რომელიც მნიშვნელოვანია მისი მართვისათვის), ამდენად როგორც ჩანს ექთანი არ ითვალისწინებს ამ ასპექტს.
- 1**
«ცუდი»
- ექთანი ზერელედ აცნობიერებს კონკრეტული ასპექტის მნიშვნელობას, უბრალოდ მოიხსენიებს ან გაკვრით ეხება რა მას. საკითხი არ არის გახსნილი, ამდენად, არ შეგვიძლია შევავასოთ აქვს თუ არა იგი ექთანს სწორად გაგებული. F
- 2**
«ზღვრული»
- ასპექტი მთლიანობაში ნათლად არის ფორმულირებული, მაგრამ არ არსებობს არავითარი მინიშნება იმის შესახებ, რომ ექთანს ნამდვილად გაგებული აქვს მისი მნიშვნელობა. წარმოდგენილი მაგალითები ძალიან ცოტაა ან იმდენად არასპეციფიკური, რომ ვერ ასახავს პრობლემის გაგების მისაღებ დონეს.
- 3**
«დამაკმაყოფილებელი
»»
- სიტუაციის არსი და პრობლემური ასპექტის მნიშვნელობა ექთანს ადეკვატურად აქვს გაგებული. საკითხი ფორმულირებულია ნათლად და შესაფერისადაა განმარტებული.ეს ნიშნავს, რომ პასუხი «მისაღებია» და ექთანმა «გაიარა» გამოცდის ეს ეტაპი.
- 4**
«კარგი»
- ექთანი ახდენს იმის ნათელ დემონსტრირებას, რომ ძალიან კარგად აქვს გაგებული პრობლემის არსი. წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დეტალები და მათი აღწერილობა, თუმცა შესაძლოა გამოტოვებული იყოს რამოდენიმე, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის საკითხები.
- 5**
«საუკეთესო»
- ექთანი წარმოაჩენს სიტუაციის სრულყოფილ გაგებას, წარმოდგენილია პრობლემის ძირითადი ასპექტები და დეტალური აღწერილობა. არ არის აუცილებელი ეს ყველაფერი უნაკლო იყოს. პასუხის შინაარსი იმდენად კარგი და სრულია, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამოცდის პირობებში იყოს მოსალოდნელი.

იმისათვის, რომ ექთანმა ჩააბაროს გამოცდის ეს ეტაპი, მან არ უნდა მიიღოს ერთზე მეტი „ზღვრული“ შეფასება.

საგამოცდო ნაშრომს ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ასწორებს ორი გამომცდელი. თუ შეფასების მაჩვენებლებს შორის განსხვავება არ აღემატება ერთს, საბოლოო შედეგი გამოითვლება ორივე მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის გამოყვანით. ერთზე მეტი განსხვავების შემთხვევაში საბოლოო მაჩვენებელი დგინდება ნაშრომის ხელახალი განხილვისა და მსჯელობის საფუძველზე.

2.3. მესამე ეტაპი - ექთნის შეფასება ზეპირი გამოცდაზე

ზეპირი გამოცდა წარმოადგენს შეფასების საბოლოო - მესამე ეტაპს. ზეპირი გამოცდის მიზანია გამოვლინდეს ექთნის მიერ პრობლემის გადაწყვეტის უნარი და მისდამი დამოკიდებულება;

გამომცდელს უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რაც მას საშუალებას მისცემს მაქსიმალურად სწორად შეაფასოს ექთანი. აარ არის სასურველი, რომ მასწავლებელმა თავისი ჯგუფის მსმენელი ექთანი გამოსცადოს. ამ დროს აუცილებელია შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღოს სხვა გარეშე პირმა;

ოჯახის ექთნის შეფასებისათვის ზეპირ გამოცდაზე მსმენელს წარედგინება ორი კლინიკური შემთხვევა. გამოკითხვას აწარმოებს კომისიის ორი წევრი. თითოეულ მათგანს გამოკითხვისათვის დაეთმობა 15 წუთი, რაც მოიცავს 7 შეკითხვას თითოეული კლინიკური შემთხვევის გარშემო;

კომისიის მესამე წევრი, რომელიც გამოკითხვას არ აწარმოებს, დამკვირვებლის როლს ასრულებს და გამოკითხვის პროცესში ჩარევის გარეშე დამოუკიდებლად აწარმოებს ექთნის შეფასებას;

ზეპირი გამოცდის საბოლოო შედეგი მიიღება ორივე გამომცდელის შეფასების შეჯამების საფუძველზე, თუ მათ შეფასებებს შორის განსხვავება არ აღემატება 2-ს. ორზე მეტი სხვაობის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება დამკვირვებლის შეფასების მაჩვენებელთა შედარებისა და მსჯელობის საფუძველზე;

კლინიკური შემთხვევა ფასდება შემდეგი საკითხების გათვალისწინების საფუძველზე:

პრობლემის განსაზღვრა

მართვა

პრევენცია

ორგანიზაციული ასპექტები

კომუნიკაცია

პროფესიული ღირებულებები

პერსონალური და პროფესიული ზრდა

თითოეული საკითხის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

ინფორმაციის (ანამნეზის) შეკრების უნარი

ამ კრიტერიუმით ფასდება ექთნის მიერ იმ ინფორმაციის შეკრების უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია საექთნო მოვლის დაგეგმვის და/ან გადაწყვეტილების მიღებისათვის.

არ არის მისაღები

ექთანი არ იცავს ანამნეზის შეკრების თანამიმდევრობას.
ვერ ახერხებს განსაზღვროს საკვანძო საკითხები.
ვერ აყალიბებს ალტერნატიულ ჰიპოთეზებს.
არ ეძიებს მონაცემებს კლინიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების შესახებ.
გამოთქმული აზრი მოკლეა და არა სისტემური.
ექთანი არაადეკვატურად (არარაციონალურად) იყენებს მონაცემებს.

მისაღები

შეკრებილია სრულყოფილი ანამნეზი, რომელიც მოიცავს შესაფერის კლინიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს.
ექთანი სწორად აღწერს პაციენტის შეფასების პროცესს.
პაციენტის მოვლა დაგეგმილია გონივრულად.
ექთანი სათანადოდ აფასებს ჩანაწერების წარმოების მნიშვნელობას.

პრობლემის გადაჭრის უნარი

ამ კრიტერიუმით ფასდება ექთნის უნარ-ჩვევები შეკრებილი ინფორმაციის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება და დაგეგმოს ავადმყოფის მოვლა.

არ არის მისაღები

ექთანი სრულად ვერ აცნობიერებს იმ მონაცემების მნიშვნელობას, რაც შეკრება. მას არ შეუძლია მოულოდნელი შედეგების ინტერპრეტაცია, რომელსაც ხშირად იგნორირებას უკეთებს.
ექთნის აზროვნება არ არის მოქნილი და შემოქმედებითი.

მისაღები

აცნობიერებს მოულოდნელი შედეგების მნიშვნელობას და ცდილობს მათ ახსნას.
ექთანი, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდეს ითვალისწინებს ყველა მონაცემს და თანამიმდევრობით ამოწმებს ალტერნატიულ ჰიპოთეზებს.
აზროვნება მოქნილია, ექთანი ეძიებს ყველა შესაძლო კონტაქტს და ამავდროულად ახდენს ფოკუსირებას იმ ფაქტორზე, რომელიც მეტად შესაფერისია კონკრეტულ შემთხვევაში.

კლინიკური გადაწყვეტილების მიღების უნარი

ეს კრიტერიუმი აფასებს ექთნის მიერ ლოგიკური გადაწყვეტილების მიღების უნარს.

არ არის მისაღები

ექთანი უფრო მეტ ყურადღებას პროფესიული მოვლის დანიშვნის საკითხს უთმობს, ვიდრე პაციენტის საერთო კეთილდღეობას.
ექთანი გეგმავს მოვლის ისეთ პროცესს, რომელსაც სათანადოდ არ იცნობს.
მისი არჩევანი შეზღუდულია.
იგი იყენებს «რუტინულ» ან «პოპულარულ» მოვლის მეთოდებს, იმისდა მიუხედავად არის ეს მისაღები კონკრეტულ შემთხვევაში თუ არა.
ექთანი არ აძლევს პაციენტს მისთვის გასაგებ ახსნა-განმარტებას.

მისაღები

ექთანი იცნობს მის მიერ შერჩეული მოვლის დადებით და უარყოფით მხარეებს.
პირველ რიგში მიმართავს მარტივ ზომებს.
ავლენს გულისხმიერებას და ყურადღებას კონკრეტული პაციენტის საჭიროებების, სურვილების და საარსებო გარემოს მიმართ.
იგი მოქნილია და კლინიკური სიტუაციის შესაფერისად შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება.
პაციენტს, აძლევს შესაფერის ახსნა-განმარტებას მისთვის გასაგები ენით.

4. კომუნიკაცია (პაციენტთან და თანამშრომლებთან ურთიერთობა)

ეს კრიტერიუმი აფასებს ექთნის პაციენტთან ურთიერთობის პროცესს და კოლეგებთან და პირველადი ჯანდაცვის გუნდის სხვა წევრებთან მუშაობის უნარს.

არ არის მისაღები

გარკვეული მიზეზის გამო (იქნება ეს გაუცხოვება, არათავაზიანობა, განურჩევლობა ან სამუშაოს ზეწოლა)
ექთანი ვერ ამყარებს პაციენტთან კარგ ურთიერთობას. მის უჭირს პაციენტის საჭიროებების გაგება. არ შეუძლია დააჯეროს პაციენტი და ზოგჯერ შესაძლოა უსაფუძვლო განგაშიც კი გამოიწვიოს.
ექთანი ცუდად რეაგირებს პაციენტის არამეგობრულ ან ემოციურ ქცევაზე.
იგი ვერ ავლენს სიმპათიას და თანაგრძნობას პაციენტთან ურთიერთობისას.
ექთანს ჩვეულებრივ არ სურს მიიღოს კონსულტანტის რჩევა, ან გააგზავნოს პაციენტი ექიმთან ან კოლეგასთან.

მისაღებია

შეუძლია დაარწმუნის პაციენტი, ამყარებს გახსნილ ურთიერთობას და ამზიდებს პაციენტს. ავლენს სიმპათიას და თანაგრძნობას პაციენტთან ურთიერთობისას.
პაციენტი მას «უბრალო» პიროვნებად თვლის, რომელთანაც თავისუფლად შეუძლია საუბარი.
გაგებით ეკიდება გუნდური მუშაობის საჭიროებას, კარგად აქვს მორგებული გუნდის წევრის როლი და საჭიროების შემთხვევაში გვევლინება, როგორც ლიდერი.
პატივს სცემს სხვების აზრს და არ გაურბის დახმარებისათვის კოლეგისადმი მიმართვას.

5. ხანგრძლივი პასუხისმგებლობა

ეს კრიტერიუმი აფასებს ექთნის სურვილს და უნარს განახორციელოს პაციენტზე ხანგრძლივი მეთვალყურეობა.

არ არის მისაღები

საწყისი მკურნალობის შემდეგ კარგავს ინტერესს ან არ უთმობს დროს მომდევნო მეთვალყურეობას.
იმედგაცრუებას განიცდის ნელი პროგრესის შემთხვევაში და უჭირს მოქმედება ცუდი პროგნოზის შემთხვევაში.
არ შეუძლია აცნობოს ცუდი ამბები პაციენტს ან მის ნათესავებს.
იგი არაადეკვატურად იყენებს დამხმარე პერსონალს და მათგან უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე ეს შესაძლებელია.
ექთანი არ აწარმოებს კონკრეტული შემთხვევის ხელახალ განხილვას შესაფერისი ინტერვალებით.

მისაღებია

ცდილობს წახალისოს პაციენტი, რათა მან თავად იზრუნოს საკუთარი რეაბილიტაციისათვის. ამასთან იგი წარმოაჩენს, რომ მასაც იგივე მიზანი აქვს.
იგი აკვირდება მდგომარეობის მიმდინარეობას და საჭიროებისდა მიხედვით ცვლის მართვის გეგმას და მკურნალობას.
ექთანს კარგად ესმის დამხმარე პერსონალის როლი და მაქსიმალურად ეფექტურად იყენებს მათ სამსახურს.

6. პროფესიული ღირებულებები

ეს კრიტერიუმი აფასებს ექთნის, როგორც სამედიცინო პროფესიის ინდივიდუალური წევრის სტანდარტებს და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის მიმართ.

არ არის მისაღები

ცდილობს კოლეგებისაგან დამალოს თავისი შეცდომები.

იგი საუბრობს სამედიცინო შეცდომებზე პაციენტთან.

მისაღებია

თავაზიანი, სამართლიანი, გულახდილი და თავმდაბალი.

არ გაუბრბის საკუთარ შეცდომებს. პაციენტს სცემს კოლეგების და პაციენტის აზრს. პაციენტზე ზრუნვას პიროვნულ ინტრესებზე მაღლა აყენებს.

ცნობს საკუთარ პროფესიულ შესაძლებლობებს და აღიარებს ამ შესაძლებლობების საზღვრებს.

7. ზოგადად კომპეტენტურობა

ეს კრიტერიუმი ემყარებს გამომცდელის შეხედულებას მსმენელის, როგორც მომავალი ოჯახის ექთნის ზოგადი კომპეტენციის შესახებ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზემოთ მოყვანილი შვიდივე კრიტერიუმი.